არტიკლი - Article

არტიკლი დაისმის არსებითი სახელის წინ და გასაზღვრავს მის სქესსა და რიცხვს. ფრანგულ ენაში ოთხი ტიპის არტიკლია:

- განუსაზღვრელი არტიკლი - Article indéfini
- განსაზღვრული არტიკლი - Article défini
- შერწყმული არტიკლი - Article contracté
- ნაწილობითი არტიკლი - Article partitif

ფრანგულ ენაში არის ასევე ელიდირებული არტიკლი (Article élidé). ის გამოიყენება მხოლობით რიცხვში ორივე სქესის არსებითი სახელების წინ, რომლებიც ხმოვნით ან მუნჯი h-ით იწყება: l'ami, l'homme.

განუსაზღვრელი არტიკლი - Article indéfini

განუსაზღვრელი არტიკლი - Article indéfini, აღნიშნავს პირველად ნახსენებ, უცნობ არსებით სახელს. მისი ფორმებია:

Un - მამრობითი სქესის არსებითი სახელებისათვის მხოლობით რიცხვში.

Une - მდედრობითი სქესის არსებითი სახელებისათვის მხოლობით რიცხვში.

Des - ორივე სქესის არსებითი სახელებისათვის მრავლობით რიცხვში.

არსებითი სახელი განუსაზღვრელ არტიკლთან ერთად ქართულად ითარგმნება : „რაღაც, ვიღაც, რომელიღაც". Un homme - ვიღაც კაცი.

განსაზღვრული არტიკლი - Article défini

განსაზღვრული არტიკლი - Article défini აღნიშავს უკვე ნაცნობ არსებით სახელს. მისი ფორმებია:

Le - მამრობითი სქესის არსებითი სახელებისათვის მხოლობით რიცხვში.

La - მდედრობითი სქესის არსებითი სახელებისათვის მხოლობით რიცხვში.

Les - ორივე სქესის არსებითი სახელებისათვის მრავლობით რიცხვში.